



შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების საგანი

1. წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში (შემდგომში – "უნივერსიტეტი") სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების, სტუდენტის მიღწევების შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების წესსა და პროცედურებს, ასევე სასწავლო პროცესის მართვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. სწავლების ენა

1. უნივერსიტეტში სწავლების ძირითადი ენა არის ქართული, ხოლო სხვა ენაზე სწავლება (უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება), გარდა ცალკეული სასწავლო კურსებისა, ხდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გაცემული თანხმობის საფუძველზე.

თავი II. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე

1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე - საბაკალავრო პროგრამაზე ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების, მობილობის და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობის და ამ ინსტრუქციით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტის მიღება ხორციელდება კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.

3. უნივერსიტეტში აბიტურიენტთა რეგისტრაცია მიმდინარეობს, ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, პრეზიდენტის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში. უნივერსიტეტში აბიტურიენტთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს დაწესებულების ოფიციალურ ვებ გვერდზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები.



4. უნივერსიტეტში აბიტურიენტის ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლის, კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის და პრეზიდენტის აქტით განსაზღვრული დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

5. აბიტურიენტთა მხრიდან რეგისტრაციის გავლის და უნივერსიტეტში შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ უნივერსიტეტის პრეზიდენტი დებს მათთან საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებას და გამოსცემს ბრძანებას უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ. პრეზიდენტის აქტი გამოიცემა არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში.

6. აბიტურიენტი, რომელიც შესულია შესაბამისი წლის კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში, მაგრამ ვერ მოხვდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ პრეზიდენტის ერთიან აქტში დადგენილ ვადაში დაწესებულებისათვის არმომართვის გამო, უფლებამოსილია მომართოს დაწესებულებას ჩარიცხვის მოთხოვნით პრეზიდენტის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე. უნივერსიტეტის პრეზიდენტი ვალდებულია დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს აქტი, თუ პირი წარმოადგენს ამ მუხლის მე-4 პუნქტში გათვალისწინებულ დოკუმენტებს. პირის დაშვება სასწავლო პროცესში ხორციელდება სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობების გათვალისწინებით მიმდინარე ან მომდევნო სემესტრიდან. ამ შემთხვევაში პრეზიდენტის აქტი იგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში. ამ გზით პირის ჩარიცხვა უნივერსიტეტში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

7. ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს სწავლის საფასური ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია - აირჩიოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები.

მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე

1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - სამაგისტრო პროგრამაზე ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების, საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ან მობილობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად უნივერსიტეტი ადგენს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას (გასაუბრებას) შესაბამის სპეციალობაში და გამოცდას (ტესტირებას) ინგლისურ ენაში.



2. მაგისტრანტობის კანდიდატი უნივერსიტეტის მიერ გასაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში (გასაუბრებაში, ტესტირებაში) მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავს კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ ზღვარს.
3. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების (გასაუბრების, ტესტირების) ჩაბარების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე პრეზიდენტის ბრძანების ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.
4. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე პრეზიდენტის ბრძანება და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების (გასაუბრების, ტესტირების) შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მაგისტრანტობის კანდიდატი უფლებამოსილია გამოცდის/გამოცდების (გასაუბრების, ტესტირების) შედეგებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარადგინოს საპრეტენზიო განაცხადი. საპრეტენზიო განაცხადის განხილვაში არ მონაწილეობენ ის პირები, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მაგისტრანტობის კანდიდატების შეფასებაში.
5. უნივერსიტეტი მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, ქმნის სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში ხვდება მხოლოდ ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელმაც საერთო სამაგისტრო გამოცდა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები წარმატებით ჩააბარა.
6. უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე. უნივერსიტეტი სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს ქმნის შესაბამის სპეციალობაზე /სპეციალობების სამაგისტრო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა გამოცხადებული ადგილების რაოდენობის, მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ მიღებული ნორმირებული ქულისა და მის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისთვის ან/და მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდისთვის მინიჭებული კოეფიციენტის/კოეფიციენტების, ხოლო თუ კოეფიციენტები იდენტურია, ტესტის ნაწილების ან/და გამოცდის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.
7. მაგისტრანტობის კანდიდატთა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის, კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის, ასევე პრეზიდენტის ბრძანებით განსაზღვრული სხვა დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.



8. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელსაც უნივერსიტეტში ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობის საფუძველზე შეიძლება ჩაირიცხოს სამაგისტრო პროგრამაზე იმ პირობით, რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე უნივერსიტეტში წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს.

9. უნივერსიტეტში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება უნივერსიტეტსა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და დგება პრეზიდენტის ერთიანი აქტი. პრეზიდენტის ერთიანი აქტში მითითებულია მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. უნივერსიტეტი სამაგისტრო გამოცდის წლის 5 ოქტომბრამდე სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახავს ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ.

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბაკალავრიატის/ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე

1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბაკალავრიატის/ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/ კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო



ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. უნივერსიტეტი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების საგანმანათლებლო პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად ჩაატაროს გამოცდა და უზრუნველყოს გამოცდის ვიდეოჩანაწერის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის ხელმისაწვდომობა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

4. უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით ხდება გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების ჩარიცხვა ერთი წლის ვადაში ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე

1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;



დ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საბაკალავრო ან ერთსაფეხურიან პროგრამაზე ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე;

ე) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. უნივერსიტეტი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ჩაატაროს გასაუბრება უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად და უზრუნველყოს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობა.

3. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პირისთვის სამინისტროს სამართლებივი აქტით სწავლის უფლების მინიჭების შემდეგ, გამოიცემა უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახმად, ჩაირიცხვის მსურველი პირისთვის უნივერსიტეტის მიერ შესაბამის სპეციალობაში გამოცდის (გასაუბრების) ჩატარების პირობების განსაზღვრის შესახებ. გამოცდის (გასაუბრების) წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში გამოიცემა პრეზიდენტის ბრძანება პირის ჩაირიცხვის თაობაზე.

4. უნივერსიტეტის პრეზიდენტი ვალდებულია მოახდინოს საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩაირიცხვა ერთი წლის ვადაში ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის მოპოვება სადოქტორო პროგრამაზე

1. უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტის მიღების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.

მუხლი 8. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით დადგენილ ვადებში პირველკურსელთა და მობილობით გადმომსვლელ პირთა მიერ განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენას და უნივერსიტეტთან საგანმანათლებლო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმებას.



2. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს ყოველი სემესტრის დასაწყისში უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ დადგენილ ვადებში სტუდენტის მიერ სასწავლო კურსების არჩევას და მათზე დარეგისტრირებას. სტუდენტი უფლებამოსილია არჩეულ სასწავლო კურსებში ცვლილებები შეიტანოს სწავლის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში. ამ საკითხთან დაკავშირებით ის წერილობით მიმართავს სკოლის დეკანს.

3. უნივერსიტეტის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ამ ქვეყანაში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადგენილი წესით. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას აგრძელებს ამ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (მემორანდუმით) განსაზღვრული პირობებით.

თავი III. სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

2. უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

დ) აკადემიური შვებულება;

ე) სამხედრო სავალდებულო სამსახური;

ვ) ფინანსური დავალიანება;

3. სტუდენტი სტატუსის შეჩერების მოთხოვნით განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის პრეზიდენტს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, ამ ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრში გამოყენების უფლებას.

4. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.



5. უნივერსიტეტი უზრუნველყოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ინფორმაციის ასახვას.

6. სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;
- გ) სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, ეთიკის კოდექსის დარღვევა;
- დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველები.

2. სწავლების ნებისმიერი საფეხურის სტუდენტს უფლება აქვს უარი თქვას სწავლის გაგრძელებაზე და წერილობით მოითხოვოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

3. სტუდენტს, რომელიც ვერ დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების რაოდენობას გათვალისწინებულ დროში, უწყდება სტუდენტის სტატუსი.

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია პირის მიერ სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელების დროს, რაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით.

5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიყენა პრეზიდენტის ბრძანება, რაც იწვევს სტუდენტთან დადებული საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტას.

6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმდები დაწესებულების წესდებასთან.

7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტატუსშეჩერებული სტუდენტი უფლებამოსილია სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის პრეზიდენტს.

2. სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სწავლის დაწყებიდან ნებისმიერ დროს, მაგრამ სტუდენტი სასწავლო პროცესზე დაიშვება მიმდინარე ან მომდევნო სემესტრში



კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სწავლის შედეგების მიღწევის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

3. სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

თავი IV. მობილობა

მუხლი 12. მობილობის უფლების წარმოშობა უფლება

1. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. უნივერსიტეტის შიგნით სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს აკადემიური პროცესის მართვის სამსახური.

2. სტუდენტების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში.

3. უნივერსიტეტში მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის ერთ-ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი.

4. უნივერსიტეტში მობილობის უფლება ასევე აქვს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.

5. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებად. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.



6. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში გადმოსვლის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.

7. მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

მუხლი 13. მობილობისათვის გამოცხადებული ადგილების რეგისტრაცია

1. უნივერსიტეტი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ ვადაში, ელექტრონულად წარადგენს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) დაწესებულების დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი;
- ბ) მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა და საკონტაქტო პირი;
- გ) აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულისა და საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
- დ) პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული) და შესაბამისი სტატუსის ვადა;
- ე) პროგრამის სწავლების ენა;
- ვ) პროგრამის განხორციელების ადგილი;
- ზ) პროგრამაზე სწავლის საფასური;
- თ) კრედიტების რაოდენობა;
- ი) მობილობის წესით მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობა;
- კ) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების დამატებითი წინაპირობა;
- ლ) შენიშვნა (დაწესებულების მიერ გათვალისწინებული დამატებითი/სხვა ინფორმაცია).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ – „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების წყაროს წარმოადგენს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები და ივსება ავტომატურად, ხოლო ამავე პუნქტის „ბ“, „ზ“- „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია აისახება უნივერსიტეტის მიერ.

3. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ადგენს ხარვეზს და უნივერსიტეტს განუსაზღვრავს ხარვეზის აღმოფხვრის ვადას ან



ადასტურებს ინფორმაციის სისწორეს და ელექტრონულ პორტალზე განათავსებს დადასტურებულ მონაცემებს. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დადგენილ ვადაში დაწესებულების მიერ ხარვეზის გამოუსწორებლობა წარმოადგენს მობილობისათვის ადგილების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

მუხლი 14. მობილობის მსურველთა რეგისტრაცია

1. მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის და კანონმდებლობით გათვალისწინებული საფასურის გადახდის შემდეგ.
2. სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს ხუთი საგანმანათლებლო პროგრამისა. რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისას იგი ვალდებულია განსაზღვროს არჩეული საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტულობა.

მუხლი 15. მობილობის უფლების მოპოვება

1. თუ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ უნივერსიტეტის მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს. სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის უფლების მოპოვება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით.
2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია ორი ან მეტი სტუდენტი, უნივერსიტეტი რიცხავს მათ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამ შემთხვევაში, დამატებული ადგილების რაოდენობა გამოაკლდება უნივერსიტეტში მომდევნო სასწავლო წელს მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.
3. მობილობის მსურველი მოიპოვებს შესაბამისი დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მის მიერ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესით.
4. იმ პირთა ერთიანი სია, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი დაწესებულების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე, ქვეყნდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე.

მუხლი 16. უნივერსიტეტში მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვა

1. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნების შემდეგ მობილობის მსურველი განცხადებით მიმართავს ქართულ-



ამერიკულ უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა დაწესებულებაში და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები.

2. მობილობის მსურველი, რომელიც უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე არ მიმართავს განცხადებით მის მიერ დადგენილ ვადაში, კარგავს აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. უნივერსიტეტი ადგენს შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

4. უნივერსიტეტი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად და მის მიერ დადგენილ ვადაში, რის შემდეგაც ცენტრი ამოწმებს დაწესებულების ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, რეესტრისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ;

5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვისათვის განსაზღვროს წინაპირობები, რაც გულისხმობს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენას. ამ თავსებადობის არარსებობა იქნება პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.

6. აღიარება ფორმდება დასკვნის სახით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

7. უნივერსიტეტში, ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, შემუშავდება პრეზიდენტის ბრძანების პროექტი სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის თაობაზე.

8. უნივერსიტეტი სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ პრეზიდენტის ბრძანების პროექტს და მასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, რის შემდეგაც მართვის სისტემა ამოწმებს დაწესებულების ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას ამ წესის მოთხოვნებთან, უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს ელექტრონულ დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. მართვის სისტემა უფლებამოსილია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაციაც.



9. პრეზიდენტის ბრძანების პროექტზე მართვის სისტემის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიყენა პრეზიდენტის ბრძანება საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა მობილობით ჩარიცხვის შესახებ.

10. უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიყენა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 17. სტატუსის შეწყვეტა მობილობის წესით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასული სტუდენტებისათვის

1. მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების საფუძველზე უნივერსიტეტი გამოსცემს ბრძანებას სხვა დაწესებულებაში ჩარიცხული პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გასცემს ბრძანებიდან ამონაწერს, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტს და სტუდენტის პირად საქმეში არსებულ სხვა დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზეც იგი ჩაირიცხა უნივერსიტეტში.

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად მართვის სისტემას წარედგინება 7 ოქტომბრამდე შემოდგომის, ხოლო გაზაფხულის სემესტრში 7 მარტამდე.

მუხლი 18. შიდა მობილობა

1. უნივერსიტეტში შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ.
2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოაცხადოს რიგგარეშე შიდა მობილობა, მის მიერ დადგენილი წესით, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის ან აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში ან მის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში.
3. შიდა მობილობის მსურველი სტუდენტი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის პრეზიდენტს, განცხადებას უნდა დაერთოს ნიშნის ფურცელი და პირადობის მოწმობის ასლი. ზემოაღნიშნული დოკუმენტები არ არის საჭირო, თუ სტუდენტი ერთი სკოლის ფარგლებში ახორციელებს შიდა მობილობას.
4. მიმღების სკოლა ადგენს შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.



მუხლი 19. კრედიტების აღიარების პრინციპები

1. უნივერსიტეტში სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსულ, უნივერსიტეტის ფარგლებში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარება ექვემდებარება შემდეგ ძირითად პრინციპებს: ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS) შესაბამისობა და სტუდენტის მიერ არჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობა.
2. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.
4. უნივერსიტეტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაიანგარიშებს სტუდენტის დატვირთვას კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.
5. სტუდენტებს აუცილებლად უღიარდებათ სტუდენტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად სწავლის სფეროში და თავისუფალ კომპონენტში შემავალი სავალდებულო კრედიტები სრული მოცულობით. ხოლო სტუდენტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კომპონენტები შემდეგი პრინციპით: ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კრედიტები, თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კრედიტები.
6. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის სახელწოდება არ ემთხვევა უნივერსიტეტის სასწავლო კურსების დასახელებას, კომისია უფლებამოსილია კურსი უღიაროს უნივერსიტეტის კურსკულუმის საგნებთან თემატური, შინაარსობრივი შეთავსების საფუძველზე.
7. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული მიმღები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით.
8. სტუდენტს თავისუფალი კრედიტები უღიარდება იმ მოცულობით, როგორც არის მოცემული პროგრამაში. თავისუფალი კრედიტების აღიარების დროს კომისია გავლილი სასწავლო კურსებიდან აღიარებს იმ კურსებს, რომელშიც სტუდენტს ყველაზე მაღალი შეფასებები აქვს ან სტუდენტის არჩევანის მიხედვით.
9. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება მიმღები უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობას, მაშინ ხდება კურსის იმდენ კრედიტად აღიარება რამდენსაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა.



10. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობაზე ნაკლებია, მაშინ ამ სასწავლო კურსის აღიარების საკითხს წყვეტს კომისია სასწავლო კურსის სილაბუსის ანალიზის საფუძველზე.

11. თუ სტუდენტის მიერ გავლილი უცხო ენის კრედიტების რაოდენობა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაში უცხო ენისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობაზე ნაკლებია, უცხო ენის კრედიტების აღიარების საკითხი შეიძლება გადაწყდეს სტუდენტთან გასაუბრების შედეგად. გასაუბრების შედეგად თუ დადგინდა, რომ სტუდენტი ფლობს პროგრამის უცხო ენის შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ენის დონისათვის დამახასიათებელ კომპეტენციებს, სტუდენტს უცხო ენისათვის განკუთვნილი კრედიტები უღიარდება დონის შესაბამისად.

12. იმ შემთხვევაში თუ უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს არა ქულებს, არამედ შეფასების აღმნიშვნელ ლათინურ ასოებს (A, B, C, D, E, A+, A, A- და სხვ.) და არ არსებობს ამ სისტემის განმარტების ოფიციალური დოკუმენტი, მოცემული სისტემის გადაყვანა უნივერსიტეტში მოქმედ სისტემაზე მოხდეს შემდეგი წესით:

- [A+] - [A] ფრიადი - 100 ქულა;
- [A] - [A] ფრიადი 95 - ქულა;
- [A-] - [A] ფრიადი 91 - ქულა;
- [B+] - [B] ძალიან კარგი - 90 ქულა;
- [B] - [B] ძალიან კარგი - 85 ქულა;
- [B-] - [B] ძალიან კარგი 81 ქულა;
- [C+] - [C] კარგი - 80 ქულა;
- [C] - [C] კარგი - 75 ქულა;
- [C-] - [C] კარგი - 71 ქულა;
- [D+] - [D] დამაკმაყოფილებელი - 70 ქულა
- [D] - [D] დამაკმაყოფილებელი - 65 ქულა;
- [D-] - [D] დამაკმაყოფილებელი - 61 ქულა;
- [E+] - [E] საკმარისი - 60 ქულა;
- [E] - [E] საკმარისი - 55 ქულა;
- [E-] - [E] საკმარისი - 51 ქულა;

13. იმ შემთხვევაში თუ უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს არა ქულებს, არამედ შეფასების აღმნიშვნელ სიტყვიერ განსაზღვრებას (ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო, დამაკმაყოფილებელი) და არ არსებობს ამ სისტემის განმარტების ოფიციალური



დოკუმენტი, მოცემული სისტემის გადაყვანა უნივერსიტეტში მოქმედ სისტემაზე მოხდეს შემდეგი წესით:

ფრიადი - [A] ფრიადი - 100 ქულა;

ძალიან კარგი - [B] ძალიან კარგი - 90 ქულა;

კარგი - [C] კარგი - 80 ქულა;

საშუალო - [D] დამაკმაყოფილებელი - 70 ქულა

დამაკმაყოფილებელი - [E] საკმარისი - 60 ქულა;

14. შეფასების 5 ქულიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპის შესაბამისად:

[5] ფრიადი – [A] ფრიადი - 100 ქულა;

[4] კარგი – [B] ძალიან კარგი - 90 ქულა;

[3] დამაკმაყოფილებელი - [C] კარგი - 80 ქულა;

15. თუ სტუდენტს 5 ქულიან სისტემაში მიღებული აქვს „ჩათვლა“, კურსის შეფასების აღიარება ხდება 5 ქულიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანის პრინციპით. გამოითვლება 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანილი სასწავლო კურსების შეფასებების საშუალო არითმეტიკული.

16. თუ სტუდენტის პირველადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს (ECTS) სისტემისგან განსხვავებულ შეფასების სისტემას, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ინსტრუქციით, კურსის/კურსების შეფასების საკითხი წყდება კომისიის გადაწყვეტილებით, სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ დოკუმენტში აღნიშნული შეფასების სისტემის განმარტებისა ან/და კურსის მოცულობის შესაბამისად.

17. აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე სტუდენტს განესაზღვრება სასწავლო სემესტრი და უკეთდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ამ დროს მხედველობაში მიიღება, რომ სტუდენტმა წელიწადში 75 კრედიტზე მეტი არ გაიაროს. სტუდენტს შეიძლება დასჭირდეს დამატებითი სასწავლო სემესტრის გავლა.

მუხლი 20. კრედიტების აღიარების პროცედურა

1. კრედიტების აღიარებას ახორციელებს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, აყალიბებს დასკვნას და დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის დეკანს, რომელიც ამტკიცებს დასკვნას ან, საჭიროებს გათვალისწინებით, ქმნის კომისიას.

2. კომისიაში დაკავებული თანამდებობის მიხედვით შედიან: სკოლის დეკანი, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები/კოორდინატორი), შესაბამისი მიმართულების/დარგის პროფესორი (პროფესორები), შესაბამისი აკადემიური მენეჯერი. კომისიის მუშაობაში, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, შეიძლება ჩართული იყოს უცხო ენის სპეციალისტი -



ექსპერტი. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე - სკოლის დეკანი. კომისიის მუშაობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

3. კომისიის მიერ კრედიტების აღიარების გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. კომისიის გადაწყვეტილებას, რომელიც ფორმდება თითოეულ სტუდენტზე ცალ-ცალკე დასკვნის სახით, ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე.

4. კრედიტების აღიარების დროს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და შემდეგ კომისია ხელმძღვანელობს სტუდენტის მიერ წარმოდგენილი სათანადოდ დამოწმებული ნიშნის ფურცლით. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ნიშნის ფურცელში ასახული ინფორმაცია იწვევს ეჭვს, ისინი უფლებამოსილნი არიან, სტუდენტს მოსთხოვონ დამატებითი ინფორმაციის, მათ შორის სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ის წარდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში არ ხდება კრედიტ(ებ)ის აღიარება.

მუხლი 21. ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარება

1. ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარება (შემდგომში – უმაღლესი განათლების აღიარება) გულისხმობს ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის მიერ, რომლის სწავლის პერიოდი არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ სრულად/ნაწილობრივ, მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენას სახელმწიფოს მიერ აღიარებული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

2. უმაღლესი განათლების აღიარების მიზნით, პირი განცხადებით მიმართავს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. განცხადებას თან უნდა ახლდეს ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დოკუმენტი/ცნობა ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლი ამ დაწესებულებაში პირის ჩარიცხვის, ასევე ამორიცხვის ან სწავლის დასრულების თაობაზე და სწავლის პერიოდში გავლილი საგნების ნუსხა, მათი კრედიტების ან/და შეფასებების მითითებით.

3. უმაღლესი განათლების აღიარების წინაპირობაა პირის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. დაინტერესებული პირის განაცხადის წარმოებაში მიღების შემდეგ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უნივერსიტეტს უგზავნის განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტაციას.

5. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უნივერსიტეტის ჩართულობით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში გამოცდის ჩატარებას, რომლის მიზანია დადგინდეს, ფლობს თუ არა პირი შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტით გათვალისწინებულ კომპეტენციას. უნივერსიტეტიდან მიღებული დასკვნის საფუძველზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის მიერ მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებაზე ან უარს ამბობს მის აღიარებაზე.

6. განათლების აღიარების მსურველის გამოცდის ჩატარების წესი და გამოცდის თემატიკა, უნივერსიტეტის პოზიციის გათვალისწინებით, მტკიცდება სსიპ-განათლების ხარისხის



განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. დაინტერესებულ მხარეს გამოცდის შესახებ უნდა ეცნობოს მის ჩატარებამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ითხოვს გამოცდის უფრო მოკლე ვადაში ჩატარებას.

8. განათლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებით განისაზღვრება განათლების რა ნაწილი იქნა მიჩნეული აღიარებულად.

9. კრედიტების აღიარების მიზნით უნივერსიტეტი ადგენს პირის მიერ ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების თავსებადობას შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასთან.

10. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია სწავლა გააგრძელოს შესაბამისი სემესტრიდან.

თავი VI. სტუდენტის შეფასება

მუხლი 22. შეფასების სისტემა

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტში კრედიტის მინიჭება შესაძლებელია სილაბუსით და საუნივერსიტეტო რეგულაციებით გათვალისწინებული სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

2. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

3. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი) გამოყენებით.

4. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

5. შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

6. სტუდენტთა შეფასება განისაზღვრება შემდეგი შეფასების სისტემის მიხედვით:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;



ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. დასკვნითი გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულაა 40, დანარჩენი 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასების კომპონენტებს შორის.

8. შუალედურ შეფასებაში აუცილებელი კომპონენტია ერთი შუალედური გამოცდა, რომელიც ფასდება 20 ქულით. დანარჩენი 40 ქულა ნაწილდება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვადასხვა კომპონენტებს შორის, რომელშიც შეიძლება იყოს მეორე შუალედური გამოცდაც, და დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსში.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შუალედური გამოცდა, როგორც წესი, ტარდება სემესტრის მე-8 კვირას, დასკვნითი გამოცდა მე-17 კვირას.

10. საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით სკოლის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ პროგრამის დამტკიცების დროს შეიძლება განსაზღვროს ამ მუხლის მე-8 პუნქტისგან განსხვავებული შუალედური შეფასების სისტემა და ამ მუხლის მე-9 პუნქტისგან განსხვავებული შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების ვადები.

11. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელიც შუალედურ შეფასებაში დააგროვებს მინიმუმ 25 ქულას.

12. დასკვნითი გამოცდის მინიმალური სავალდებულო ქულაა 16.

13. სტუდენტს საპატიო მიზეზის არსებობისას შეუძლია შუალედური და დასკვნითი გამოცდების აღდგენა.

14. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

15. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

16. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.



17. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

18. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის/კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს.

19. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი/კომპონენტები ფასდება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული სისტემით.

20. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

21. დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის შეფასება ხორციელდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

22. დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომი ფასდება შეფასების შემდეგი სისტემის მიხედვით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

23. ამ მუხლის 22-ე პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

24. ამ მუხლის 22-ე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო 22-ე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით



გათვალისწინებული უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

25. აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის არსებობის შემთხვევაში მისი შეფასება ხდება ამ მუხლის მე-6 პუნქტში გათვალისწინებული შეფასების სისტემით.

26. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ამ მუხლის მე-6 პუნქტში გათვალისწინებული შეფასების სისტემით.

27. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ.ა.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ბ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

მუხლი 23. აკადემიური მოსწრების საშუალო ქულა

1. სტუდენტის საბოლოო შიდა საფაკულტეტო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება აკადემიური მოსწრების საშუალო ქულა (Grade Point Average – GPA) ქულა, საშუალო ქულის გამოთვლა ასევე ხორციელდება ყოველი სემესტრის და აკადემიური წლის ბოლოს შემდეგი წესით: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი მრავლდება სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ მიღებული რიცხვების საერთო ჯამი იყოფა სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების საერთო რაოდენობაზე. თუ მიღებული სიდიდე შეიცავს მათედზე მეტი თანრიგის მაჩვენებელს იგი უნდა დამრგვალდეს მათედამდე. მათედამდე სიზუსტით დამრგვალდება გულისხმობს შემდეგს: ა) მეთასედის ჩათვლით მის მარჯვნივ არსებული ყველა ციფრი იშლება; ბ) თუ მეთასედის მაჩვენებელი ციფრი ნაკლებია 5-ზე, მაშინ მეთასედის მაჩვენებელი ციფრი უცვლელი რჩება; გ) თუ მეთასედის მაჩვენებელი ციფრი მეტია ან ტოლი 5-ის, მაშინ მეთასედის მაჩვენებელი ციფრი იზრდება ერთი ერთეულით.

2. აკადემიური მოსწრების საშუალო ქულის (GPA) გამოთვლა ხდება როგორც 100 ქულიანი სისტემის შესაბამისად, ისე 0.33-დან 4.30-მდე რაოდენობრივი ექვივალენტის გამოყენებით, ქვემოთ წარმოდგენილი პრინციპით:

შეფასება	GPA
98-100 ქულა	4.30
94-97 ქულა	4.00



91-93 ქულა	3.67
88-90 ქულა	3.33
84-87 ქულა	3.00
81-83 ქულა	2.67
78-80 ქულა	2.33
74-77 ქულა	2.00
71-73 ქულა	1.67
68-70 ქულა	1.33
64-67 ქულა	1.00
61-63 ქულა	0.67
51-60 ქულა	0.33
0-50 ქულა	0.00

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში წარმოდგენილი პრინციპისგან განსხვავებული პრინციპი შეიძლება დადგინდეს პარტნიორ უნივერსიტეტთან დადებული შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 24. შეფასების შედეგების გასაჩივრება

1. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შუალედურ ან/და დასკვნით შეფასებას, უფლებამოსილია შედეგების ოფიციალური გამოქვეყნებიდან სამი დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.
2. საჩივროების შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, დეკანი იღებს გადაწყვეტილებას დარგობრივი კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება. სადისერტაციო ნაშრომის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.
3. იმ შემთხვევაში თუ საჩივრის განხილვისას გამოიკვეთა უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმების დარღვევის ნიშნები, საკითხი შემდეგში რეაგირებისთვის გადაეცემა დისციპლინარული წარმოების განმახორციელებელ ორგანოს.

თავი VII. სწავლის ხანგრძლივობა და კვალიფიკაციის მინიჭება

მუხლი 25. სწავლის ხანგრძლივობა



1. სწავლის ხანგრძლივობა პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე 4 წელია, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 6 წელი, მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 2 წელი, ხოლო მესამე საფეხურის (დოქტორანტურა) აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 3 წელი.
2. აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ვადის ამოწურვის შემდეგ მხოლოდ ორი წლის განმავლობაში. ზემოაღნიშნულ წესში გამონაკლისი დაიშვება გონივრული საფუძვლის არსებობისას დეკანის გადაწყვეტილებით.
3. სტუდენტს, რომელიც ვერ დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების რაოდენობას ზემოდ მითითებულ ვადაში, უწყდება სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 26. სტუდენტის აკადემიური დატვირთვა

1. აკადემიური წელი ორ სემესტრიანია და მოიცავს 36 კვირას, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში 40 კვირას. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 18 კვირას, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში 20 კვირას. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია პრეზიდენტის ბრძანებით განისაზღვროს დამატებითი სემესტრი.
2. სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.
3. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.
4. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს.
5. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 30 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.
6. სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.



7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით.

8. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი ნიშნავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა.

9. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის განსაზღვრისას ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს.

მუხლი 27. კვალიფიკაციის მინიჭება

1. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის შესაბამისი საფეხურისთვის პროგრამით დადგენილი კრედიტების დაგროვების შემდეგ სტუდენტს შესაბამისი სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და ეძლევა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი შესაბამისი დანართით.

2. სადოქტორო პროგრამაზე კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს სკოლის სადისერტაციო საბჭო.

3. უნივერსიტეტში შემუშავებულია ჩვეულებრივი და წარჩინების დიპლომის ფორმები. წარჩინების დიპლომი გაიცემა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულზე, რომლის აკადემიური მოსწრების საშუალო ქულა 0.33-დან 4.30-მდე რაოდენობრივი ექვივალენტის გამოყენებით არის ან აღემატება 4.00-ს, ხოლო სხვა შემთხვევაში უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ჩვეულებრივი დიპლომი.

4. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

თავი VIII. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი

მუხლი 28. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს იმგვარ ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამას (გეგმას), რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მისთვის იმ კვალიფიკაციის მინიჭება, რაც მიიღწეოდა იმ სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელზეც განხორციელდა სტუდენტის ჩარიცხვა. ამასთან, ინდივიდუალური პროგრამა (გეგმა) უნდა შემუშავდეს სტუდენტის აქტიური მონაწილეობით და მასზე სტუდენტის გადაყვანა უნდა მოხდეს მისი თანხმობით.



მუხლი 29. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი

1. საგანმანათლებლო პროგრამის უნივერსიტეტის ინიციატივით გაუქმების შემთხვევაში ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს სხვა ანალოგიური პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, ხოლო ასეთი პროგრამის არ არსებობის ან სტუდენტის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უნივერსიტეტს არ აქვს პროგრამის გაუქმების უფლება. იგი იღებს ვალდებულებას, პროგრამა შეინარჩუნოს იმ მომენტამდე, ვიდრე არ განხორციელდება მასზე ჩარიცხული ყველა სტუდენტისათვის სრული განათლების მიცემა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება.

თავი IX. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება

მუხლი 30. სასწავლო ხელშეკრულების დადება

1. უნივერსიტეტი ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთან დებს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებას.
2. ხელშეკრულება შევსებული და ხელმოწერილი უნდა იყოს უშუალოდ სტუდენტის მიერ, თუ სტუდენტი 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირია ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი.
3. ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება უნივერსიტეტს და იდება სტუდენტის პირად საქმეში, ხოლო მეორე – გადაეცემა სტუდენტს.

თავი X. დასკვნითი დებულებები

მუხლი 31. ძალაში შესვლა

1. ამ ინსტრუქციის ძალაში შესვლის შემდეგ, მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩაითვალოს უნივერსიტეტის ის აქტები, რომლებიც სხვაგვარად აწესრიგებენ ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ ურთიერთობებს.